



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ქალაქ ბორჯომის N 6 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

ბ) მორის დანდურიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226157360

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბორჯომი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბორჯომი შ. რუსთაველის ქ. 55
საფოსტო ინდექსი	1200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/ - https://rb.gy/3nw889
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Borjomi6@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	03267222266
--	-------------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES O 25 0000424819 17/04/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 27 და 28 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მიითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქი ბორჯომი შ. რუსთაველის ქ. 55 მისამართზე მდებარეობს ერთი სამსართულიანი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქი ბორჯომი შ. რუსთაველის ქ. 55 მისამართზე მდებარეობს ერთი სამსართულიანი შენობა



3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქი ბორჯომი შ. რუსთაველის ქ. 55 მისამართზე მდებარეობს ერთი სამსართულიანი შენობა
---	---	------------------	---------	--

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 27 და 28 მაისს, სსიპ-ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლა საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი (ადგილზე ვიზიტი) და საგნობრივი ექსპერტები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლის მასწავლებლებს. დაწყებითი საგნების საგნობრივმა ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებთან გასაუბრებაში და დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასებაში. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა განსაზღვრული	ავტორიზაციის მოსწავლეთა	საბჭოს ადგილების	მიერ	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული
-------------------	-------------------------	------------------	------	-----------------------------	---



ზღვრული რაოდენობა		რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება⁵³
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
		☒ სკოლა ორცვლიანია. შესაძლებლობა აქვს ორი ცვლის შემთხვევაში მომსახურება გაუწიოს სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა



535	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ზღვრულ რაოდენობას.
-----	--	--------------------

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ❖ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ❖ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ❖ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შესაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში <u>(23.06 2026წ.)</u> სკოლაში დაასაქმოს კადრები , რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში <u>(23.12.2025 წ.)</u> ექიმის კაბინეტი აღჭურვოს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



		სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები"-ის შესაბამისად.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 23.06.2026წ. <u>ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით განაახლოს სკოლის აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.</u>
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (06.03 2027წ.) ❖ შეიმუშაოს და დაამტკიცოს უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ❖ შეიმუშაოს და დაამტკიცოს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი; ❖ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო



	ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N....</i>		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი</i> 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (23.06 2026წ.) დაწყებით საფეხურზე დაასაქმოს კადრები , რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი</i> 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (23.06 2026წ.) საბაზო საფეხურზე დაასაქმოს კადრები , რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციის წესი. ოფიციალური წესის შემუშავება ხელს შეუწყობს პროცესის კიდევ უფრო სისტემატიზაციას, სტანდარტიზაციასა და მდგრადობას, უზრუნველყოფს ყველა ახალი თანამშრომლისთვის ერთგვაროვან და სრულყოფილ ადაპტაციას.
3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სასურველია სკოლამ შეიტანოს ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტებში, წესებში, სადაც დადგენილი აქვთ გარკვეული რეგულაციები კერძო სკოლისთვის.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო	სასურველია სკოლამ გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.



	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ მიიღო რჩევა, სამედიცინო ჩარევების დროს გაითვალისწინოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლამ მიიღო რჩევა : გამოყოს ცალკე დაცული სივრცე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისთვის საჭირო ნივთებისა და ქიმიური საშუალებების შესანახად.
3.4.1.7	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	სასურველია სკოლამ არქივისთვის გამოჰყოს ცალკე ოთახი/დაცული სივრცე, სადაც შეინახავს დაარქივებულ მასალებს.
		სასურველია სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დაამონტაჟოს <u>ამწოვი კარადა და სადემონსტრაციო მაგიდა.</u>
სტანდარტი N4 <i>ინდიკატორი N....</i>	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი	გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირების აუცილებლობისას სკოლამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოითხოვოს ნებართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროდან.
ინდიკატორი 2.1.2.2	სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულია სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით	მათემატიკის შემოქმედებითი დავალების/კომპლექსური დავალებების ბარათებში სასურველია დარედაქტირდეს სამიზნე ცნებები ახალი სამიზნე ცნებებითა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენებით.



ინდიკატორი 2.3.2.2	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	წარმოდგენილი იქნა ზოგადი შეფასების რუბრიკა. სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეფასების რუბრიკები ესგ- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი	გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირების აუცილებლობისას სკოლამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოითხოვოს ნებართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროდან.
ინდიკატორი 2.1.2.2	სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულია სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით	მე-7 და მე-9 კლასების მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში სასურველია თემები დაზუსტდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, ხოლო საკითხები დალაგებული იყოს შესაბამისი თემების მიხედვით
ინდიკატორი	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური	წარმოდგენილი იქნა ზოგადი შეფასების რუბრიკა და შეფასება



2.3.2.2	და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	თემისთვის „კალათბურთი“. სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეფასების რუბრიკები ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი	გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირების აუცილებლობისას სკოლამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოითხოვოს ნებართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროდან.
ინდიკატორი 2.3.2.2	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	წარმოდგენილი იქნა ზოგადი შეფასების რუბრიკა და შეფასება თემისთვის „კალათბურთი“. სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეფასების რუბრიკები ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასკვნის პროექტის პასუხი, შესაბამისობის გეგმით გაწერილი და დანართების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები. გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად დასკვნის პროექტში დახარვეზებული მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, და მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს მისიის გადასინჯვაზე არსებული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, რაც დემონსტრირებს მის ადაპტაციის უნარსა და განვითარებაზე ორიენტირებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული სკოლის ფილოსოფია, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს, მოიცავს მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა: უსაფრთხო, ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნა; მოსწავლეების აკადემიური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე მידგომების დანერგვა სწავლების პროცესში; პატივისცემის ჩანერგვა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ; გარემოზე ზრუნვა. ხედვის თანახმად, სკოლა ისახავს მიზნად, სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით, ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. სკოლის საბოლოო მიზანია აღზარდოს ქვეყნის პატრიოტი, ტოლერანტი, პასუხისმგებლიანი, მოტივირებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნებები, რომლებიც მზად იქნებიან თანამედროვე გამოწვევებისთვის და აღჭურვილნი იქნებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით, მათ შორის ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება-დაცვის პრინციპებით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის ფილოსოფია და მისია მკაფიოდ არის განსაზღვრული და უშუალოდ უკავშირდება მის ადგილმდებარეობასა და არსებულ ეკოლოგიურ გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად არის ორიენტირებული გარემოს დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების თვითდამკვიდრების დონის ამაღლებას როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოში. მისია ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებას, რაც გულისხმობს მოსწავლეების გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას, თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნის შეძენასა და დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებას. სკოლის მიზანია მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც ეცოდინებათ ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება და დაცვა. ხედვის თანახმად, სკოლა მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები



ადიჭურვებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით, სოციალურად სწორი ორიენტაციით და ჩამოყალიბდებიან ბუნებრივი გარემოს დამცველ პიროვნებად. ამრიგად, სკოლა თავისი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოცო-კულტურული სივრცე. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დაგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რისთვისაც სკოლაში შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი. დადგინდა სკოლის ძლიერი მხარეები, განისაზღვრა კონკრეტული და მკაფიო პრიორიტეტები. ჯგუფის მიერ სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა სკოლის ახალი მისია, ხედვისა და ღირებულებების ჩარჩო. წარმოდგენილი ჩარჩო გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან. მოხდება აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა. პროექტის რევიზია და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა /დამტკიცება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის ფილოსოფიის არსებული ვერსია შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ჯგუფის, დირექციის, კათედრების ხელმძღვანელების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით. ამ მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.

პირველადი ვერსიის შექმნაში ჩართულნი იყვნენ სტრატეგიული განვითარების ჯგუფის წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) და კათედრის წევრები. მიღებულ იქნა წერილობითი უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს დოკუმენტის სრულყოფასა და ყველა დაინტერესებული მხარის აზრის გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე გამოკრულია სკოლის შენობის მეორე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სსიპ ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
6. მინისტრის ბრძანება „სკოლის სახელწოდება“;
7. სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;



3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ვიზიტის პერიოდში შეატანხმა სამეურვეო საბჭოსთან და დაამტკიცა პედაგოგიური საბჭოს ოქმით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა დამიზნის მისაღწევს გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად. ის ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეული ნაბიჯი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. კერძოდ: დოკუმენტში განსაზღვრულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ;
2. 2024-2025 / 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
4. დირექტორის ბრძანება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული და დამტკიცებული ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტურ მექანიზმებს. ეს უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობასა და მიზნების მიღწევის ეფექტურობას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილია სტრატეგიული გეგმის რეგულარული გადახედვა. კერძოდ: ყოველწლიურად ხდება სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება. მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი განიხილავს გეგმას. განხილვის მიგნებები/დასკვნები გათვალისწინებული იქნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, შესაძლებელია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები, რის ინიცირებასაც სკოლის დირექტორი მოახდენს. მიმოხილვის პროცესი განხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მიერ, რომელსაც სკოლის დირექტორი უხელმძღვანელებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში (შესაბამისი პერიოდის შეფასება) და 7 წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი ანგარიში), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ეს ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ეს სისტემა უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული მიზნების მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, დროულ კორექტირებას, რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციური განვითარებისთვის. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

3. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

4. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგის ოქმი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
4. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლა გამოირჩევა მკაფიოდ განსაზღვრული და ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის ეფექტურ მართვასა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სტრუქტურა მოიცავს: პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. გარდა ამისა, სკოლაზე მორგებული დებულებების მიხედვით საქმიანობენ ბიბლიოთეკა, კათედრები და დამრიგებლები. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი, ასევე დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვას და კოორდინირებულ მუშაობას: სამეურვეო საბჭო: შედგება 7 ხმის უფლების მქონე წევრისგან (3 პედაგოგი, 3 მშობელი, სკოლის



თვითმმართველობის თავმჯდომარე) და 1 მოსწავლე წევრისგან. სკოლის ადმინისტრაცია: მოიცავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს, ინფო-მენეჯერს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტს. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულნი არიან სკოლის ექიმი, 4 დამლაგებელი, დღის კარის გუშაგი და ცეცხლფარეში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია "სკოლის სტრუქტურული ერთეულების" ჩარჩო დოკუმენტში. მოსწავლეთა თვითმმართველობა: წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და აღჭურვილია გარკვეული უფლებებით. კანონის შესაბამისად, მას შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები და წარუდგინოს წინადადებები სკოლის დირექციას/დირექტორს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ქმნის სასკოლო კლუბებს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა გრაფიკული სახით, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის შიგნით ანგარიშვალდებულების პრინციპის გაგებას. დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ეს ქმნის გამჭვირვალე და ორგანიზებულ სამუშაო გარემოს. სკოლაში არ არის შექმნილი სააპელაციო კომიტეტი, თუმცა სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს. ეს მიუთითებს დირექტორის ცენტრალურ როლზე სკოლის მართვაში და სტრუქტურული ერთეულების ჰარმონიზებულ ფუნქციონირებაში. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება- მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა;
2. ექიმის ხელშეკრულება;
3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4. სამტატო განრიგი;
5. შრომითი ხელშეკრულება;
6. დირექტორის დანიშვნის ბრძანება;



7. პერსონალის მართვის პოლიტიკა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტში ვიზიტის პერიოდში შევიდა ცვლილება და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილია სკოლის საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, საქმიანობის შეფასება, პერსონალის განვითარება, პერსონალის ქცევის მართვა, შრომითი საქმიანობის მოტივაცია და სტიმულირება, სკოლის ისეთი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალით დაკომპლექტება, რომელიც ხელს შეუწყობს პედაგოგიური პერსონალის მიერ მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების, საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლება-მოვალეობები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა

შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სწრაფი რეაგირების მექანიზმი მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში. კერძოდ, თუ მასწავლებელი იმყოფება ბიულეტენზე ან უხელფასო შვებულებაში, სკოლა მყისიერად ახდენს მასწავლებლის ჩანაცვლებას, რის შედეგადაც საგაკვეთილო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და სტაბილურობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა განათლების ხარისხისთვის. ამრიგად, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არის მყარი და ფუნქციონალური დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორგანიზაციულ ეფექტურობას, არამედ დასაქმებულთა მხარდაჭერასა და განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

მასწავლებელთა შერჩევის პროცესი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“ (N174/ნ, 20.08) და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ (N16/ნ, 21.02.2018). ასევე, პროცესი რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N33 ბრძანებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განცხადებები ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ – საჯაროდ, ვებგვერდზე: teachersjobs.ge.

კონკურსის ეტაპებია: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა. გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს თანამშრომლებს შრომით ხელშეკრულებას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. ეს უზრუნველყოფს, რომ პედაგოგებს მიეცეთ საშუალება, მუდმივად გაიუმჯობესონ კვალიფიკაცია და ეფექტურად გაართვან თავი გამოწვევებს. ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით. საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და

მიზანმიმართული ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების მიხედვით. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით.

დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით. პოზიტიური გარემოს შექმნით. თანამშრომლობა და დისციპლინა კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია, ხოლო საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. ეს ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და საერთო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. ეს უზრუნველყოფს სკოლაში წესრიგსა და თანმიმდევრულობას. მთლიანობაში, სკოლის მიდგომა ადამიანური რესურსების მართვისადმი არის სისტემური, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი და მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და კეთილდღეობისკენ.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭვირვალებასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი დასაქმებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისად, კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩევის შედეგად. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. წარმოების პროცესში გამოიკვეთა ხარვეზი: დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები, მთ შორის 26 მასწავლებელი, ძირითადად აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. გამონაკლისს წარმოადგენდა სკოლის 2 დაწყებითი საფეხურის და 1 მუსიკის მასწავლებელი, აღნიშნულ პედაგოგებს არ ჰქონდათ სტატუსი, გაფორმებული ჰქონდათ მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, თუმცა სკოლაში დასაქმებული იყვნენ სულ განაკვეთზე. ასევე სკოლას ექიმის ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავდა პირი, რომელსაც ჰქონდა სამედიცინო განათლება, მაგრამ არ უდასტურდებოდა სკოლის ექიმისთვის განსაზღვრული კვალიფიკაცია, ასევე აღნიშნულ პირს არ ჰქონდა სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში – „საოჯახო მედიცინა“ ან „პედიატრია“. შესაბამისად პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა



, გონივრულ ვადებზე გაწერილი ხარვეზის აღმოფხვრის ვადებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (23.06 2026წ.) დაასაქმოს კადრები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი;

სკოლას აქვს სოციალური ქსელი სადაც ქვეყნდება ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები. შინაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ბრძანება ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებლის შერჩევის განაცხადის მიღების ვადების და პირობების განსაზღვრის შესახებ;
3. საკონკურსო კომისიის ოქმები;
4. გაფორმებული მემორანდუმი;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლა პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლების თვითშეფასება, ადმინისტრაციული პერსონალის ანგარიშები. სკოლას, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს? რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე? ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ტარდება მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები, ურთიერთდასწრებები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლას გააჩნია მნიშვნელოვანი მიდგომები სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს ახალდანიშნული თანამშრომლების სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას. ეს პროცესი გამოიყენება ასევე სკოლის თანამშრომლის დაწინაურებისას, რაც ხელს უწყობს მათ ახალ პოზიციებთან შეუფერხებელ ადაპტაციას. ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციის უზრუნველსაყოფად სკოლა აქტიურად რთავს მათ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში, როგორცაა ექსკურსიები და კორპორატიული საღამოები. ეს მიდგომა ხელს უწყობს არაფორმალური ურთიერთობების დამყარებასა და თანამშრომლებისთვის მეგობრული გარემოს შექმნას. ახალი კადრის ინტეგრაციასა და ადაპტაციაში ხელშეწყობ პასუხისმგებელ პირად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციები მოიცავს: შრომითი ხელშეკრულების მომზადება. თანამშრომლებისთვის ფუნქცია-მოვალეობების დეტალური განმარტება აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით. გამოსაცდელი ვადის არსისა და მნიშვნელობის გაცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაციის მიწოდება ანაზღაურების, სამსახურებრივი ბენეფიტებისა და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ. მიუხედავად არსებული დადებითი პრაქტიკისა, სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია, შეიმუშაოს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციის წესი. ამჟამინდელი პრაქტიკა, მიუხედავად მისი ეფექტურობისა, უფრო ინდივიდუალურ მიდგომებს ეფუძნება. ოფიციალური წესის შემუშავება ხელს შეუწყობს პროცესის კიდევ უფრო სისტემატიზაციას, სტანდარტიზაციასა და მდგრადობას, უზრუნველყოფს ყველა ახალი თანამშრომლისთვის ერთგვაროვან და სრულყოფილ ადაპტაციას. ეს დოკუმენტი უფრო მეტად გააფორმებს და გააძლიერებს უკვე არსებულ პოზიტიურ ინიციატივებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივები წახალისებულია. დირექტორი აღნიშნავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლაში წახალისებულია



პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. გარდა პედაგოგებისა მხარდაჭერილია სკოლის სხვა პერსონალიც, მაგალითად მიმდინარე წელს სკოლის ბუღალტერს დაუფინანსდა პროფესიული ზრდის შესაძლებლობა ახალი საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესწავლის მიზნით. სკოლა ცდილობს შექმნას პერსონალისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების ოქმები;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3. მათვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის მასწავლებელთა ბაზა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;



3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები. მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტითა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლას მიეცა რჩევა: შეიტანოს ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტებში, წესებში, სადაც დადგენილი აქვთ გარკვეული რეგულაციები კერძო სკოლისთვის. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების/განხილვის სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომის შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის პერსონალის და მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული აქვს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, სადაც დეტალურად არის მითითებული მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი. ექსპერტების მიერ ადგილზე ნანახი იქნა მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხეშეკრულებები. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
3. დასაქმებულთა პირადი საქმეები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ს, მესენჯერს, TEAMS-ს, სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრის დაფიქსირება ყველა საშუალებით. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, მშობლებთან ურთიერთობის კომუნიკაციის (სტრატეგიის) დებულება. სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების, მშობელთა კრებების მეშვეობით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ოფიციალური გვერდების - ვებ-გვერდის, სოციალური გვერდების ფუნქციურ გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არჩევითი საგნების ოქმები;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
3. სკოლის სოციალური ქსელი;
4. სკოლის ვებ გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო



სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე, რაც გამოიხატება როგორც ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის არსებობით, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვისთვის არსებული მექანიზმებით. თუმცა, არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს დამატებით მუშაობას სრული შესაბამისობის მისაღწევად.

საგანგებო სიტუაციების მართვა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება:

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ჯერ არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ეს განპირობებულია საევაკუაციო გეგმის დამზადების პროცესით. სკოლა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და უკვე მიმართა უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, წერილობით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირების დასკვნის მისაღებად.

სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის წევრთა მოვალეობები დამტკიცებულია ბრძანებით. მოქმედებს წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას გაკეთებული აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

შენობის უსაფრთხოება და მონიტორინგი:

სკოლა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უსაფრთხოების დონეს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ის უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას- **06.03 2027 წ.მდე**.

უსაფრთხოების სფეროში სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, სკოლას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **06.03 2027წ.** უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ მიიღო რჩევა: სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ეს ხელს შეუწყობს სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და ყველა საჭირო ნორმის დაცვას.

ამჟამად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, რაც მიუთითებს პროგრესზე, თუმცა ხაზს უსვამს არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო ნაბიჯების აუცილებლობას სკოლის უსაფრთხოების სისტემის სრულყოფისთვის. ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;



სკოლის სამედიცინო მომსახურება და უსაფრთხოება სკოლა ცდილობს უზრუნველყოს მოსწავლეთა და თანამშრომელთა სამედიცინო უსაფრთხოება, რაც გამოიხატება პირველადი დახმარების მექანიზმების შემუშავებითა და ექიმის კაბინეტის ფუნქციონირებით. პირველადი დახმარების მექანიზმები სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და არის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი კარადა. სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო კარადის რეგულარულ აღჭურვას, ასევე დაცულია მედიკამენტების შენახვის წესები და ვარგისიანობის ვადები. სკოლის ექიმი ვალდებულია მოახდინოს ბავშვებსა და მოზარდებში სიმპტომების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, ხოლო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, რომელიც სცილდება მის კომპეტენციას, ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და შესაბამისი ზომების გატარება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში 2024 წლის 1 იანვრიდან დასაქმებულია ექიმი, გამოვლინდა ხარვეზი მის კვალიფიკაციასა და კაბინეტის აღჭურვილობასთან დაკავშირებით: ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მას არ აქვს საექიმო სპეციალობაში/სპეციალობებში სახელმწიფო სერტიფიკატი, რითაც დადასტურდება დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება. ექიმის კაბინეტი არ არის აღჭურვილი შირმით. შირმა უზრუნველყოფს პაციენტის კონფიდენციალურობასა და კომფორტს პირველადი დახმარების აღმოჩენისას. აუცილებელია მოხდეს ექიმის კვალიფიკაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მოიცავს შესაბამისი სერტიფიკატის ქონას და სკოლის ექიმისთვის განსაზღვრული კვალიფიკაციით დასაქმებას. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმის კაბინეტის სრული აღჭურვა, მათ შორის შირმით, რათა დაცული იყოს ყველა სტანდარტი და ნორმა. სკოლამ მიიღო რჩევა, სამედიცინო ჩარევების დროს გაითვალისწინოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/5/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები. **დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, გონივრულ ვადებზე გაწერილი ხარვეზის აღმოფხვრის ვადებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (23.12.2025 წ.) ექიმის კაბინეტი აღჭურვოს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/5/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები“-ის შესაბამისად . ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და ჰყავს მანდატური, რაც ხელს უწყობს წესრიგის დაცვასა და დარღვევებზე დროულ რეაგირებას. მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებებზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს.

გარეშე პირების გადაადგილების შეზღუდვისა და გაკონტროლების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მკაფიო მექანიზმები:

სკოლის შემოსასვლელი კარი კონტროლდება კარისკაცისა და მორიგე პირის მიერ. სკოლის შინაგანაწესით აკრძალულია გარეშე პირთა შესვლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. გამონაკლის შემთხვევაში, უცხო პირის შემოსვლა აღირიცხება „ვიზიტორთა“ ჟურნალში. კარისკაცი პასუხისმგებელია დაგვიანებულ მოსწავლეთა აღრიცხვაზე. დღის მეორე ნახევრიდან, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 305 მოსწავლე. შექმნილი იყო ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლის დირექცია, მასწავლებლები და სხვა დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლასის დამრიგებლები. განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რაც დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმია. გაკვეთილებისა და დასვენებების პერიოდში სკოლის დერეფნებში წესრიგს აკვირდებიან მორიგე მასწავლებლები. მიუხედავად აღნიშნული დადებითი პრაქტიკისა, სკოლაში არ ხდება წლის ბოლოს დარღვევების დახარისხება და გამოვლენილი გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. სკოლა აცნობიერებს ამ საკითხს და აპირებს მის გამოსწორებას სამომავლოდ. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში სოციალურად დაუცველთა ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით დასაქმებულია დამლაგებელი და მეუბოვე, რომლებიც ზრუნავენ სკოლაში სისუფთავის დაცვაზე. განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჭებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების ღონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი

ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლამ მიიღო რჩევა : გამოყოს ცალკე დაცული სივრცე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო ნივთებისა და ქიმიური საშუალებების შესანახად. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ პროსონულ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი ოფიცერი, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები.

ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის მესამე პირისთვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება. არქივისთვის არ არის ცალკე გამოყოფილი ოთახი/დაცული სივრცე. მასალები განთავსებულია ლაბორატორიაში თაროებზე, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;
2. ბრძანება უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ;
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
5. მასწავლებელთა თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის სამსართულიანი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №64.03.07.066. ხოლო დაზუსტებული ფართობი 4310,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1-სკოლის ძირითადი შენობა ფართობით-2290კვ.მ. ; სკოლის ეზოში განთავსებულია შენობა №2 და №3. საქვებე და ექსპლუატაციიდან გასული დამხმარე შენობა. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით სკოლის აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საჭიროებს გაახლებას.

სკოლის შენობა გარემონტებულია. სკოლის შემოსასვლელში და სართულებზე შშმ პირებისთვის გადასაადგილებელი საშუალებაა ლიფტი. სკოლა ორცვლიანია. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 15 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის მერხებით, სკამებით, კარადით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელშიც განთავსებულია 12 კომპიუტერი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს სპორტული დახურული დარბაზი. მოწყობილია გასახდელები. სპორტული შიდა სივრცე აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. სკოლის განმარტებით მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია ინვენტარით (კოლბები; მულაჟები; რეაქტივები; პლასტმასის ცილინდრები; სხვა). ლაბორატორიული აღჭურვილობა დასაწყობებულია უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ლაბორატორიაში არის სველი წერტილები, სავინტილაციო სისტემა, თუმცა არ არის ამწოვი კარადა და სადემონსტრაციო მაგიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო რჩევა. სკოლაში გათბობისთვის გამოიყენება ცენტრალური გათბობა.

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, თუმცა ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ნაწილი საჭიროებს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებას, ასევე ლიტერატურის ნაწილი ძლიერ მოძველებულია და საჭიროებს ჩამოწერა/განახლებას.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (II სართულზე), რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური სასკოლო მერხით , სკამით, სასკოლო დაფით, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებით, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, გონივრულ ვადებზე გაწერილი ხარვეზის აღმოფხვრის ვადებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **23.06.2026წ.** ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით განაახლოს სკოლის აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სპორტის მდარბაზი, ლაბორატორიები და სხვ.). სკოლაში ფუნქციონირებს, როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე კომპიუტერული ლაბორატორიები, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. წესით განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს, რომელიც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში დაწყებულია წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობისა და ელექტრონული კატალოგის წარმოება. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს ყველა მოსწავლისთვის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა: სკოლის მთავარ შესასვლელ კიბეს აქვს ლიფტი, ასევე სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია ლიფტის მეშვეობით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიზიტის პერიოდში ლიფტები არ იყო შესული ექსპლუატაციაში. სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო სამივე სართულზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.



5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული ეზო, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც ეზოში, ასევე სკოლის სხვა სივრცეებში. ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია სკოლის დერეფანში. სკოლას აქვს არქივი, სადაც განთავსებულია მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები, შემოქმედებითი პროდუქტები. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
3. საკადასტრო აზომვითი ნახაზი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
5. სკოლის ბალანსი;
6. სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლაში განხორციელდა მთლიანი ინტერნეტიზაცია, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ციფრული განათლების მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, სკოლის ნებისმიერ სივრცეში ინტერნეტი არ არის სრულად ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. სკოლას გააჩნია ციფრული განვითარების გეგმა, რაც მიუთითებს ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით დაგეგმილ და სისტემურ მიდგომაზე. **კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 12 მუშა კომპიუტერი**, სადაც ისტ-ის გაკვეთილები ტარდება. **დაწყებითი კლასების მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ბუკებს** სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს ადრეული ასაკიდან ციფრული უნარების განვითარებას. **მასწავლებლებისთვის კომპიუტერები ხელმისაწვდომია** სამასწავლებლოში (1), ბიბლიოთეკაში (1), კანცელარიაში (2), რესურს ოთახში (1) და ექიმის ოთახში (1). გარდა ამისა, სკოლას აქვს **სამი მასწავლებლის პორტაბელური კომპიუტერი და ხუთი მასწავლებლის ბუკი**, რომლებიც მუშა მდგომარეობაშია. კომპიუტერები, რომლებიც განთავსებულია სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბუღალტრის ოთახში და დირექტორის კაბინეტში, **მიერთებულია უწყვეტ ინტერნეტთან**. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებლებს **ელექტრონული ჟურნალის სრულფასოვნად შევსებას**. აღნიშნული კომპიუტერები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში **საჭირო ინფორმაციის, ვიზუალური მასალის მოსამიებლად და ციფრული რესურსების შესაქმნელად**. სკოლას აქვს **2 პროექტორი**, თუმცა ისინი არ არის მუშა მდგომარეობაში. **2025-2026 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს რამდენიმე პროექტორის შეძენას**. სკოლას აქვს **3 პრინტერი**, რომლებიც განთავსებულია: სამასწავლებლოში (1), დირექტორის კაბინეტში (1) და კანცელარიაში (1). მთავარი გამოწვევა რჩება **სკოლის ნებისმიერ სივრცეში ინტერნეტის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ზონები უწყვეტ ინტერნეტთან არის მიერთებული, ფართო ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი ტელეფონები ან კომპიუტერები სასწავლო მიზნებისთვის. პროექტორების შეძენის გეგმა 2025-2026 წელს ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ვიზუალური სწავლების ინსტრუმენტები აძლიერებს გაკვეთილების ინტერაქტიულობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა მოიცავს ამ გამოწვევების გადაჭრის გზებს, რათა სრულად იქნას ათვისებული ტექნოლოგიების პოტენციალი განათლების ხარისხის ასამაღლებლად **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“**.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია. შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. მოსწავლეებსა და პერსონალს საშუალება აქვთ ისარგებლონ სასკოლო რესურსებით. დარჩენ გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ნებისმიერ ონლაინ ტრენინგს, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაესაუბრონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოყენებულია საზიარო სივრცეები, რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნოლოგიებზე. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის კრიტერიუმის ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი;
3. საქმისწარმოების წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;



სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლას აქვს ბრძანებების (საკადრო, საერთო), შემოსული და გასული წერილების სარეგისტრაციო ჟურნალები. ასევე, წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. 2012 წლიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას eflow-ს და Eschool-ის ბაზას. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას e-flow, ასევე eschool. სკოლა ასევე იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას borjomi6@mes.gov.ge საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა Eschool-ში. გადამოწმების შედეგად დასტურდება : შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. გააქტიურებულია სოციალურად დაუცველის ველი ყველა შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეზე. ასევე გააქტიურებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;



2. eflow-ს და Eschool-ის ბაზა;
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>
4. სკოლის ოფიციალური ვებგვერდი - <https://rb.gy/3nw889>

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდისა, ოფიციალურ სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლას შემუშავებული აქვს

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი. სკოლა საზოგადოების საჯარო ინფორმაციას წარადგენს სკოლის

ოფიციალურ ვებ გვერდისა- <https://rb.gy/3nw889> და სოციალური ქსელის-<https://www.facebook.com/borjomschool06> საშუალებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი-<https://rb.gy/3nw889>, რომელზეც ინფორმაცია გავრცელებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დომენით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდი <https://rb.gy/3nw889> შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ლიტერატურული კონკურსის „თანამედროვე გალაკტიონი“მასალები;
2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>
3. სკოლის ოფიციალური ვებგვერდი - <https://rb.gy/3nw889>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექთნის

თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ვიზიტის პერიოდში შეადგენდა 40211 ლარს. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა მიზნობრივად ხორციელდება. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ანგარიში კონტროლდება სკოლის საბანკო ამონაწერიდან. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. გარდა აღნიშნულისა სკოლა ყოველი წლის ბოლოს ქმნის კომისიას, რომელიც ატარებს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი, ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
2. სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი
3. სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის ცვლილების ოქმი
4. წერილი- სამეურვეო საბჭოს მოწვევის შესახებ

.შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის საქართველოს კანონის - „ზოგადი განათლების შესახებ“ და სკოლის შინაგანაწესით. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლას აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება;
- სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
- შექმნილია მრჩეველთა საბჭო;
- თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს ინლკუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას.

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის და გაწერილი აქვს მას მოსწავლეებთან მიმართებით ისეთი მექანიზმები, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი დამრიგებელია. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე



აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს. სკოლას აქვს გვერდი სოციალური ქსელში, რაც აქტიურია და გამოქვეყნებულია სკოლაში მიდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წესი. სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, განცხადება-საჩივრის განხილვის პროცედურა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით.

თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები, ასევე მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულაციები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება;
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- განცხადება-საჩივრის განხილვის პროცედურა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი - <https://rb.gy/3nw889>

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროადაა ხელმისაწვდომი;



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს:

- STEM კლუბი
- ეკოკლუბი „მინდია“
- სამოქალაქო განათლების კლუბი „ჩვენ“
- სპორტკლუბი „ზეინკალა“
- ლიტერატურული სალონი „მანანა“
- ხელოვნების კლუბი „პალიტრა“
- ინტელექტუალთა კლუბი „ბიგლი“
- მკითხველთა კლუბი
- ისტორიის მოყვარულთა კლუბი „საუნჯე“

განსაზღვრულია კლუბების წესდებები და დებულებები.



სკოლა მე-4 კლასის მოსწავლეებს სასწავლო წლის ბოლოს მეორე უცხოურ ენად სთავაზობს რუსულ ენას, ენების მრავალფეროვან არჩევანზე მიეცა რეკომენდაცია. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ისწავლება ინგლისური და რუსული ენები.

საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს.

დამატებითი ფასიანი და უფასო მომსახურებების შესახებ სკოლა სასკოლო საზოგადოებას სთავაზობს სკოლის დერეფნებში, განცხადებების დაფაზე გამოქვეყნებით, სოციალურ ქსელში გაზიარებით. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აწვდიან ამ ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე.

სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს (წრეები, კლუბები). მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წესი
- პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციები
- სკოლის დირექტორის ბრძანებები
- სკოლის eFlow
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი - <https://rb.gy/3nw889>

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლეს, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელს უწყობენ დამრიგებელი და საგნის პედაგოგები. წესში დეტალურადაა განსაზღვრული პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები, ნებისმიერ კლასში ახლადგადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით, ყველა დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლიც მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეებზე. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ აქტივობებს: კლასის საათი, ექსკურსია, მოსწავლეთა ჩართვა სასკოლო კლუბებში. პირველკლასელებისთვის და მათი მშობლებისთვის ეწყობა ღია კარის დღე, პატარები ეცნობიან სასკოლო სივრცეს, პედაგოგებს, სკოლის განლაგებას.

სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ გეგმებს. სკოლის მხრიდან კანონმდებლობისა და მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით ხდება ასისტენტის ან სხვა სპეციალისტის აყვანა.

სკოლის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, სკოლის ინკლუზიური ფიზიკური სივრცეები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა ადაპტაციისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ განმავითარებელი შეფასების ეფექტურ მეთოდოლოგიას და ამის გათვალისწინებით დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებია ყოველი პარასკევი 13:00 საათიდან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა). მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს გაანათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ამისთვის სკოლა არის ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. გაანათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმები. სკოლის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ექსტერნატის, საშემოდგომო, სემესტრული გამოცდების შესახებ, ასევე რა ვადებში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება. აწვდის ინფორმაციას გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. განხორციელებულია აქტივობები, რაც ხელს უწყობს სკოლის მისიისა და მიზნების მიღწევას, მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილი იქნება დამრიგებლების მიერ.

სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას დერეფნებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები და პროდუქტები. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური გაანათლების აქტივობებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების ამსახველი ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლა აქტიურადა

ჩართული სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებში: ფეხბურთის, კალათბურთის გუნდურ ტურნირებში, სპორტულ ოლიმპიადებში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ანკეტები, შეხვედრების ოქმები, რითაც შესაძლებელია უკუკავშირების მიღება. მიღებული უკუკავშირები იყო გათვალისწინებული სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებისას, ასევე სტრატეგიული გეგმის შედგენისას. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ეტაპობრივად კიდევ უფრო განავითარებს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების საშუალებებსა და მეთოდოლოგიას, რაც ხელს შეუწყობს მათი მომსახურების გაუმჯობესებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი - <https://rb.gy/3nw889>
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მშობელთან დასაბუთება ხელშეკრულება
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა, ოქმი
- კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები (წესდებები/პროგრამები/აქტივობები)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული კოლეჯ „ოპიზართან“, რომლის მიზანია მოსწავლეებისათვის პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელება. აესევე მე-11 კლასის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია აქტივობები პროფესიის არჩევაში დახმარების მიზნით. სკოლაში კლუბების სამოქმედო გეგმებში და დებულებებში განსაზღვრულია, პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ინტენსიურად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ადგილზე გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლის ადმინისტრაცია იწვევს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს პრეზენტაციების წარმართვის მიზნით, რათა მათი რეკომენდაციები დაეხმაროს მოსწავლეს სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში ვიზიტისას, სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუში გაირკვა, რომ სკოლა აპირებს თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილება სხვადასვა აქტივობებით. სკოლა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვებს ანკეტირების საშუალებით, სკოლა მოუწყობს მოსწავლეებს შესაბამისი სფეროს პროფესიონალებთან შეხვედრებს. აგრეთვე 2024-2025 სასწავლო წელს იგეგმება ჩატარდეს სკოლადამთავრებული მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა პროფესია აირჩია და როგორ დაეხმარა მას სკოლა პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მე-11 კლასის სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმი სკოლასა და კოლეჯ „ოპიზარს“ შორის;
- კლუბების დებულებები, სამოქმედო გეგმები;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - <https://www.facebook.com/borjomschool06>

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცედურები. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი და შედგენილია ისგ. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში აღწერილია სკოლის ინკლუზიური განათლების ძირითადი კონცეფცია და პროცედურები. სკოლის გამართული ინფრასტრუქტურა, სრულფასოვანი ადაპტირებული გარემო, სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეს იყოს რეალიზებული სასკოლო გარემოში. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, სადაც იკვეთება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების და მოსწავლეების ჩართულობით. მოსწავლის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი კადრის (სპეც. მასწავლებელი/ასისტენტი) შერჩევა. სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. ვიზიტის დროს განხორციელდა რესურსოთახის ვიზუალური დათვალიერება, სპეც მასწავლებლებთან გასაუბრება. რესურსოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, შედგენილია მოსწავლეებთან მუშაობის განრიგი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ გეგმები; სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება



შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახალი გადასულია სრულად რეაბილიტირებულ სკოლის შენობაში და ამ ეტაპზე არ ახორციელებს მოსწავლეთა ისეთ მომსახურებებს, როგორცაა: გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელი მომსახურება და სხვა. თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლას დაწყებული აქვს იჯარის პროცედურები, კერძოდ, სპორტდარბაზი გაიჯარდება სამეურვეო საბჭოს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, აუდიტის დასკვნის საფუძველზე ჩატარდება აუქციონი და გამარჯვებულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება ფართის დროის ისეთ ინტერვალში გაიჯარებაზე, რა პერიოდშიც მოცემულ კორპუსში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა განხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და მომსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მომსახურებები განხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის eFlow ანგარიში;
- იჯარის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადამინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმ ა 2024 – 2025 სასწავლო წელი;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- პროექტები, პროექტის გეგმები;

- დიაგნოსტიკური ტესტი, ტესტის დიაგრამა;
- დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები და რუბლიკები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.-

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რჩევა: გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირების აუცილებლობისას სკოლამ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოითხოვოს ნებართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროდან.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - ინდიკატორი აკმაყოფილებს

სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რჩევა: მათემატიკის შემოქმედებითი დავალების/კომპლექსური დავალებების ბარათებში სასურველია დარედაქტირდეს სამიზნე ცნებები ახალი სამიზნე ცნებებითა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენებით.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას . ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
- ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ინტერვიუ საგნის მასწავლებლებთან;
- ბრძანება სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიში;
- დაწყებითი საფეხურის კლასების კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე- (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა).
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანება;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებელთა ანგარიშები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დაწყებითი კათედრის ანგარიში;
- დაწყებითი კლასების კათედრის ოქმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 წწ.
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- ბრძანება სკოლის თითოეულ კლასში საათების რაოდენობის დამტკიცების შესახებ;
- მასწავლებლის კომპეტენცია;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის პერსონალურ მონაცემებთან დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით. - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი - სკოლაში დასაქმებულია 2 დაწყებითი სწავლების და 1 მუსიკის მასწავლებელი, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , გონივრულ ვადებზე გაწერილი ხარვეზის აღმოფხვრის ვადებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (23.06 2026წ.) დაწყებით საფეხურზე დაასაქმოს კადრები , რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ინტერვიუ საგნის მასწავლებლებთან;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები, საპრეზენტაციო ფაილები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში 2023-2024 სასწავლო წელი;
- სოლო ტაქსონომიის მიხედვით დაწერილი განმავითარებელი შეფასება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების-რუბრიკის ნიმუშები;
- შინაგანაწესი;
- სკოლის „ფეისბუქ“ გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა).
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალების რეფლექსია;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024 – 2025 სასწავლო წელი;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნის შესახებ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რჩევა: წარმოდგენილი იქნა ზოგადი შეფასების რუბრიკა. სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის შეფასების რუბრიკები ესგ- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სადამრიგებლო პროგრამა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ანუ შუალედური სასწავლო მიზანი;

- სპეციალური მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- მშობლის ბარათები;
- დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები და რუბლიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024 – 2025 სასწავლო წელი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი - სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა.
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

